პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

28 მაისი, ხუთშაბათი, 1987 წ.
№ 104 (9515) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



27 მაისს საქართველოს ქალთა XI საერთაშორისო ტურნირის მონაწილეები ისვენებდნენ, ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტმა საინტერესო ექსკურსია მოაწყო. მოჭადრაკეებმა დაათვალიერეს ძველი თბილისის ღირსშესანიშნაობანი, რიტუალების სახახლე, იყვნენ ხელოვნების მუზეუმში, ლისის ტბაზე.

...რეგბი–87



## „პირველი რაუნდი“ მოგებულია

...სამშაბათს კიევში გაიმართა უმაღლესი ლიგის რეგბისტთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის მეათე ტურის მატჩი. ადგილობრივი „ავიატორი“ ეთამაშა ქუთაისის „მშენებელს“. ეს გუნდები ...თამაშების ცხრილის სათავეში იყვნენ („მშენებელს“ 25 ქულა ჰქონდა, „ავიატორს“ — 24). ასე რომ, პირველი წრის ამ ბოლოსწინა შეხვედრას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მათთვის — გამარჯვებული ჩემპიონატის „პირველ რაუნდს“ იგებდა. და აი, სასიხარულო ცნობა კიევიდან: „მშენებელმა“ გაიმარჯვა ანგარიშით 6:3 და უახლოეს მდევარს 3 ქულით გაუსწრო. მომდევნო, პირველი წრის ბოლო მატჩში „მშენებელი“ უმასპინძლებს თბილისის „ლოკომოტივს“ (ეს შეხვედრა გაიმართება 31 მაისს, თერჯოლაში).

გუშინ „ლოკომოტივის“ სტადიონზე შედგა ამავე ტურის კიდევ ერთი მატჩი, სარბიელზე გამოვიდნენ თბილისის გუნდები: „ლოკომოტივი“ და „შევარდენი“. გაიმარჯვა „ლოკომოტივმა“ — 12:6.

## ლიდერები პოზიციებს არ თმობენ

**მოჭადრაკე** ქალთა XI საერთაშორისო ტურნირზე, დასვენების დღის წინ, მეტოქენი ერთმანეთს შეხვდნენ გადადებული პარტიების დასამთავრებლად.

ჰენრიეტა ლაგვილავას, როგორც იცით, სამი უკეთეს პოზიციაში გადადებული პარტია ჰქონდა. მან ევგენია პეიჩევასთან II ტურის პარტიაში ზუსტად გამოიყენა მატერიალური უპირატესობა და გაიმარჯვა. რაც შეეხება VI ტურის პარტიას ქეთევან არახამიასთან, აქ ქუთაისელმა ოსტატმა ნაადრევად გაცვალა ეტლები და კუთა ენდშპილში მეტოქენი დაზავდნენ. მესამე პარტიის (ახმილოვსკაიასთან) დამთავრება ჰენრიეტამ ვეღარ მოასწრო.

ციალა ქასოშვილი VIII ტურის პარტიაში თამაშის განუახლებლად დანებდა ნატალია კონოპლიოვას.

როგორც გაცნობეთ, ასევე თამაშის განუახლებლად დაზავდნენ VI ტურის პარტიაში ელენა ახმილოვსკაია და თამარ ხუგაშვილიც.

ქეთევან კახიანმა ამ დღეს პირველი გამარჯვება მოიპოვა. მან დაამარცხა ქრისტინ ნიუბერგი (IV ტური) და კიდევ ერთი პარტიის მოგება შეეძლო — თამარ ხუგაშვილთან (VII ტური), მაგრამ ბოლოს არაზუსტად ითამაშა და მისმა გამოცდილმა მეტოქემ ყაიმს მიაღწია.

ყაიმით დამთავრდა ევგენია პეიჩევასა და ქრისტინ ნიუბერგის III ტურის პარტიაც.

იმის გამო, რომ ახმილოვსკაია ტურნირის დამთავრებამდე მიემგზავრება მოსკოვს, ამ დღეს გაიმართა მისი ბოლო, XI ტურის პარტია. იგი ციალა ქასოშვილს შეხვდა. ახმილოვსკაიამ თავდაპირველად უპირატესობა მოიპოვა, მაგრამ გორელმა ოსტატმა, რომელიც კარგად იცავდა თავს, შეძლო პოზიციის გათანაბრება. ბრძოლა თანდათან გამწვავდა, მაგრამ მოჭადრაკეებს დრო აღარ დარჩათ და პარტია გადაიდო. თეთრებს მცირე უპირატესობა აქვთ.

ამრიგად, 8 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში ცვლილება არ მომხდარა: ელენა ახმილოვსკაია — 6,5 (2; 9 შეხვედრიდან), ქეთევან არახამია — 6,5, ჰენრიეტა ლაგვილავა — 5,5 (1), ნატალია კონოპლიოვა — 5,5, ლიჯია ქეიმანი — 4,5, თამარ ხუგაშვილი — 4.

**ვასილ ვაშაკიძე,**
**ოსტატობის კანდიდატი.**

● ● ●




**ს უ რ ა თ ზ ე: ქეთევან კახიანი. საკავშირო სპორტსახკომიდან მივიღეთ ცნობა, რომ ამ ახალგაზრდა მოჭადრაკეს სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭა.**

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**

## წელიწადი – კალათბურთი

**ასუნსიონი** (პარაგვაი). სამხრეთ ამერიკის ჩემპიონი კალათბურთში არგენტინის ნაკრები გახდა. მან გადამწყვეტი მატჩი ბრაზილიის ნაკრებს მოუგო — 80:78. სამმა გუნდმა — არგენტინამ, ბრაზილიამ და ვენესუელამ შეჯიბრება ერთნაირი შედეგით დაამთავრა (5 მოგება, 1 დამარცხება). ბურთების უკეთესი სხვაობით პირველი ადგილი არგენტინელებს მიეკუთვნათ, მეორე — ვენესუელის, მესამე — ბრაზილიის ეროვნულ გუნდს.

**ბრატისლავა.** აქ დაიწყო საერთაშორისო ტურნირი კალათბურთში, რომელშიც საბჭოთა კავშირის მეორე ნაკრებიც მონაწილეობს. სასტარტო შეხვედრაში საბჭოთა კალათბურთელები ფრანგებთან დამარცხდნენ — 73:78 (34:38), ჩეხოსლოვაკიის გუნდმა უნგრელებს აჯობა — 107:81. მეორე ტურის მატჩები ასე დამთავრდა: სსრ კავშირი — უნგრეთი 83:74, ჩეხოსლოვაკია — საფრანგეთი 95:93.

**დერბი.** დიდი ბრიტანეთის მძლეოსანთა ჩემპიონატში მსოფლიო რეკორდსმენმა ფატიმა უაიტბრედმა (ინგლისი) შუბი 75 მეტრსა და 62 სანტიმეტრზე ტყორცნა. ეს მძლეოსნობის ისტორიაში მესამე და წლეულს მსოფლიოში საუკეთესო შედეგია. ევროპის ჩემპიონმა როჯერ ბლეკმა 200 მეტრი 20,80-ში გაირბინა.

## საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ხელბურთში



**გუშინ** თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურის მორიგი სამი მატჩი: „ბურევესტნიკი“ — სკიფ-ი — 26:21, „ტირასპოლი“ — ასკ — 18:22, „გრანიტასი“ — „ნევა“ — 28:27.

დღეს, დილის 10 საათიდან უკანასკნელი შეხვედრებია: „ბურევესტნიკი“ — „გრანიტასი“, „ნევა“ — „ტიროსპოლი“, ასკ—სკიფ-ი.

## წყალბურთელთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრიზზე



**თბილისის** ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსში დაიწყო მეცხრე საერთაშორისო ტურნირი წყალბურთში საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრიზზე.

შეჯიბრებაში მონაწილეობენ: აშშ-ის, ბულგარეთის, იუგოსლავიის, რუმინეთის, საბერძნეთის, საქართველოსა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდები.

პირველი დღის შეხვედრები ასე დამთავრდა: აშშ — რუმინეთი 8:8; იუგოსლავია — ბულგარეთი 12:5; საქართველო — საბერძნეთი 5:6.

გუშინვე დიდი სპორტიდან ზეიმით გააცილეს თბილისის „დინამოს“ ოსტატ წყალბურთელთა გუნდის ყოფილი კაპიტანი დავით რურუა, რომელიც წლების მანძილზე წარმატებით იცავდა ამ კოლექტივის სახელს.

## ნიჩბოსნებიც შეძლებენ...

**წლევანდელი** სეზონის დაწყებისთანავე შეკრებაზე მყოფ საბჭოთა კავშირის მობაიდარეთა ნაკრები გუნდის კანდიდატებს ანკეტა დაურიგდათ, რომელშიც ერთი ასეთი კითხვა იყო: გჯერათ თუ არა, რომ წელს კარგად იასპარეზებთ? „დიახ“ — ასე უპასუხა ქართველმა ნიჩბოსანმა კახა ლომიშვილმა. არადა, რა დასამალია, შარშანდელი სეზონის მერე არ გვეგონა იგი წარმატებით თუ იასპარეზებდა 1987 წლის მნიშვნელოვან შეჯიბრებებში — წინა წელს ხომ კახა დიდხანს „დუმდა“. საბედნიეროდ, ჩვენი შიში უსაფუძვლო გამოდგა.

კახა და მისი მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ნოდარ ცხოვრებოვი თურმე აპირებდნენ საკავშირო სარბიელზე ანგარიში წელს გაეხსნათ. ასეც მოხდა — სამიოდე დღეა, რაც ოსტატისა და შეგირდის ვარაუდის სისწორეში დავრწმუნდით.

● ● ●

1972 წელს ოდესელმა ნიჩბოსანმა იულია რიაბჩინსკაიამ მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებზე ოქროს მედალი მოიპოვა ერთადგილიანი ბაიდარებით რბოლაში. საბჭოთა ნაკრების მწვრთნელები დიდ იმედებს ამყარებდნენ ამ ნიჭიერ და შრომისმოყვარე სპორტსმენზე, მაგრამ რიაბჩინსკაიას აღარ დასცალდა... მომდევნო სეზონისათვის მზადების დროს იგი ბრმა შემთხვევამ იმსხვერპლა.

1973 წლიდან საბაიდარო ნიჩბოსნობის საკავშირო ფედერაცია ატარებს იულია რიაბჩინსკაიას ხსოვნისადმი მიძღვნილ დიდ საერთაშორისო შეჯიბრებას. ეს მემორიალი უმაღლესი კატეგორიის რეგატების რიცხვს მიეკუთვნება, რადგან შეჯიბრებაში, ტრადიციულად, მსოფლიოს უძლიერესი ნიჩბოსნები მონაწილეობენ. გამონაკლისი არც წლევანდელი შეჯიბრება ყოფილა. მოსკოვში, კრილატსკოეს ოლიმპიურ სარბიელზე გამოსასვლელად თავი მოიყარეს 12 ქვეყნის წარმომადგენლებმა. ფავორიტებად, რა თქმა უნდა, გდრ-ის, უნგრეთის, რუმინეთისა და საბჭოთა კავშირის გუნდები ითვლებოდნენ, რომელთა ღირსებას არაერთი სახელოვანი სპორტსმენი იცავდა. ნიჩბოსნობის ქართველი გულშემატკივრები მოუთმენლად ველოდით ცნობებს მოსკოვიდან — კრილატსკოეზე ხომ ქართველი ნიჩბოსანი კახა ლომიშვილიც გამოდიოდა. „ლელოს“ მკითხველებმა კარგად იციან თუ რით დაიმსახურა კახამ ასეთ წარმომადგენლობით და ავტორიტეტულ შეჯიბრებაში გამოსვლის უფლება და საკავშირო ნაკრების მწვრთნელთა საბჭოს ნდობა — ერთი თვის მანძილზე პერიოდულად გაწვდიდით ცნობებს ლომიშვილის წარმატებების შესახებ.

იმ ეკიპაჟებმა, რომლებშიც კახა ირიცხებოდა, საკავშირო თასის გათამაშებაში და საბჭოთა კავშირის პირველობაზე სამი საპრიზო (ერთი II და ორი III) ადგილი დაიკავეს. გარდა ამისა, კახამ რამდენიმე ფინალურ გაცურვაში მიიღო მონაწილეობა. და აი, კიდევ ერთი (უფრო სწორედ, ორი) ცნობა: კახამ და მისმა მეწყვილემ, ბელორუსიელმა ანდრეი ზუევმა მეორე ად-

იხ. მე-3 გვ.

## საქართველოს ჩემპიონატი ფარიკაობაში

რესპუბლიკის მოფარიკავეთა ჩემპიონატში 200-მდე სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა. ცხადია, კარგია, როცა ესოდენ სერიოზული შეჯიბრების სარბიელზე ამდენი მოფარიკავე გამოდის, მაგრამ მათ შორის მხოლოდ 5 სპორტსმენი იყო 23-28 წლისა, ქუთაისში სარბიელზე გამოვიდა აგრეთვე 35 იუნიორი, ანუ 18-20 წლის მოფარიკავე. 15-17 წლისა იყო 98 სპორტსმენი, ხოლო 15 წელზე უმცროსი ასაკისა — დანარჩენი 53 მონაწილე. არ დავივიწყდეთ, ლაპარაკია რესპუბლიკის ჩემპიონატზე, რომელშიც ძირითადად იუნიორები და უფროსი ასაკის სპორტსმენები უნდა მონაწილეობდნენ.

ხარით, მეტად არათანაბარია და ამიტომ სპორტსმენთა მომზადების შედარება ჭირს. საერთოდ, ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლების მუშაობის შეფასების კრიტერიუმი მხოლოდ პირობითია. იმ სკოლებისთვის, რომლებსაც სპეციალიზებულის სტატუსი აქვთ მინიჭებული, საკავშირო შეჯიბრებები ტარდება და იქ დაკავებული ადგილის მიხედვით შეიძლება მათი წარმატება-წარუმატებლობაზე საუბარი.

სხვათა შორის, ასეთ ტურნირებში ბოლო ხუთ ადგილზე გასულნი ამ სტატუსს კარგავენ, უფრო დაბალ კვალიფიკაციაში გადადიან. სკოლის მუშაკებს შესაბამისად უმცირდებათ ანაზღაურება, იკვეცება ჯგუფების რაოდენობაც და ა. შ.

ფარიკაობის ჯგუფები არსებობს აფხაზეთში, ზესტაფონში, ტყიბულში, წყალტუბოში, რუსთავში. მათს სპორტსმენებს დღეს ნაკრების კანდიდატთა შორის ვერ ვხედავთ. ამ ჯგუფებისთვის არც სპეციალური საკავშირო შეჯიბრებები ეწყობა და არიან თავისთვის, მათი მუშაობის ავ-კარგს ძნელად თუ დაადგენ (თუმცა არ შეიძლება არ ითქვას, რომ ბოლო ხანს მუშაობა გამოცოცხლდა გაგრაში). იმედია, რომ სახელმწიფო მიღება, რომელიც სპორტშიც შემოიღეს, ობიექტურად შეაფასებს ყველა ორგანიზაციასა და მწვრთნელის საქმიანობას.

სრულიად გასაგები მიზეზის გამო, საუბარი საქართველოს ჩემპიონატით დავიწყეთ და ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლებით დავამთავრეთ. თუმცა, უფროსი ასაკის სპორტსმენებზეც უნდა ითქვას ორიოდე სიტყვა. ამჟამად საკავშირო შეკრებაზე იმყოფება სპორტის დამსახურებული ოსტატი ვლადიმერ აფციაური, როგორც ნაკრების კანდიდატები, მსოფლიო უნივერსიადისთვის ემზადებიან ირაკლი გვარამაძე და აკაკი მახარაძე. ისინი და კიდევ სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვეული რამდენიმე მოფარიკავე ჩემპიონატის სარბიელზე ვერ გამოვიდნენ. უფროსი ასაკის მოფარიკავეთა ხუთეულიდან კი ორმა დამაჯერებლად გაიმარჯვა თავის სახეობაში. სერგო დემეტრაშვილმა მოიგო რაპირისტთა შეჯიბრება, ხოლო IX საკავშირო სპარტაკიადის ვერცხლის პრიზიორი ზაზა მჭედლიძე პირველი იყო ხმლით მოფარიკავეთა შორის.

ორ დისციპლინაში გამარჯვება ნორჩ მუშკეტერებს დარჩათ. დაშნით ფარიკაობაში ყველას აჯობა ქუთაისელმა ვალერი აბულაძემ (მწვრთნელი სოსო მაწონაშვილი), ხოლო გოგონებში თბილისელი მაია მათითაიშვილი პირველობდა. მაიას მამამისი — ბახვა მათითაიშვილი ავარჯიშებს.

**გიორგი პავლიაშვილი.**

# კრიტერიუმი — ნაკრების წარმატება



არ იფიქროთ, რომ ჩვენს მწვრთნელებს გუნდების გაახალგაზრდავების სურვილი ამოქმედებდათ. ჩემპიონატმა საქართველოში ფარიკაობის მდგომარეობის ზუსტი სურათი გვიჩვენა: ბავშვთა და მოზარდთა ჯგუფები მრავლად გვყავს, მაგრამ ამ ჯგუფებში მომეცადინეთა ძალზე მცირე ნაწილი თუ ემატება ნამდვილ ოსტატთა რიგებს.

რაიონები (და ხშირად თბილისიც) ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების აღსაზრდელებით აკომპლექტებენ გუნდებს და მოზრდილთა შეჯიბრება ძალაუნებურად მოსწავლეთა რესპუბლიკურ პირველობას ემსგავსება. ხშირად მოსწავლეთა და მოზრდილთა შეჯიბრებებში საპრიზო ადგილები ერთსა და იმავე სპორტსმენებს რჩებათ.

რასაკვირველია, ამ შემთხვევაში გარკვეულ როლს თამაშობს საკავშირო დებულება საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადებზე ასაკობრივი ცენზის დაწესების შესახებ. სახელდობრ, იგი მწვრთნელებს აიძულებს სხვა თვალით შეხედონ სპორტსმენის პერსპექტიულობის საკითხს, შეეცადონ ადრეულ ასაკში მიიღონ მათგან ის შედეგი, რაც შეიძლება მოგვიანებით უფრო სასურველი და მიზანშეწონილი ყოფილიყო, ხოლო მათ, ვისაც, ვთქვათ 22-24 წელი შეუსრულდა, გუნდისათვის უსარგებლოდ თვლიან. მაგრამ ჩემპიონატის მონაწილეთა ასეთი „ტოტალური გაახალგაზრდავება“ მაინც არ არის კარგი ნიშანი. ნორჩი სპორტსმენების სარბიელზე გამოყვანა იოლია, ჭეშმარიტად პერსპექტიული მოფარიკავის აღზრდა კი გაცილებით მეტ შრომასა და საქმის ცოდნას მოითხოვს. ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ სპორტული სკოლების კონტინგენტი გადასინჯვას საჭიროებს.

საქართველოს ჩემპიონატის შედეგების მიხედვით სპორტული სკოლების მუშაობას ვერ შეაფასებ: მონაწილეთა ასაკი, როგორც გითცირდებათ ანაზღაურება, იკვეცება ჯგუფების რაოდენობაც და ა. შ.

გაგაცნობთ ჩვენი რესპუბლიკის ბავშვთა და მოზარდთა ფარიკაობის სპეციალიზებული სკოლების მოსწავლეთა მიერ ბოლო ორ საკავშირო შეჯიბრებაში ნაჩვენებ შედეგებს: შარშანწინ ერევანში თბილისის განათლების სამმართველოს ფარიკაობის სკოლამ მეთერთმეტე ადგილი დაიკავა, „ბურევესტნიკის“ სკოლამ — მეთოთხმეტე, ხოლო ქუთაისის განათლების სამმართველოს სკოლამ — ოცდამეერთე. შარშან მათ გააუმჯობესეს მაჩვენებლები, დაიკავეს შესაბამისად მე-5, მე-14 და მე-17 ადგილები (შეჯიბრებაში სულ 33 გუნდი მონაწილეობდა). ამას ცნობისთვის ვამბობთ, თორემ მსგავსი ტურნირები ყოველთვის როდი იძლევა სკოლების მუშაობის ობიექტურ სურათს. რეალურ ვითარებას გვიჩვენებს სხვა, უფრო მნიშვნელოვანი საკავშირო შეჯიბრებები, პირველ ყოვლისა კი — მოსწავლეთა სპარტაკიადები, სადაც ჩვენი ნაკრები ზოგჯერ პირველ ათეულშიც ვერ ხვდება.

თუმცა საფარიკაო სკოლების მუშაობა იმის მიხედვითაც შეიძლება შეფასდეს, თუ რამდენ სპორტსმენს აძლევენ ისინი რესპუბლიკის ნაკრებს.

მაგალითად, სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშებისთვის ჩვენი რესპუბლიკის ნაკრების კანდიდატთა შორის არის თბილისის განათლების სამმართველოს სკოლის რვა მოფარიკავე, გუნდში ორი კანდიდატი ჰყავს აჭარას, თერთმეტი — „ბურევესტნიკს“, თითო — „დინამოს“ და ქუთაისს.

ამ ორგანიზაციებში ამჟამად რასაკვირველია, უნდა გამოვყოთ „ბურევესტნიკის“ საფარიკაო სკოლა. იგი სულ რამდენიმე წელიწადია არსებობს, მაგრამ ნაკრების წევრთა შორის ყველაზე მეტი მისი აღზრდილია.

### 2ф3 — კვარცხლბეკი

**დაშნა.** 1. ვ. აბულაძე; 2. ი. ცირეკიძე (ორივე — ქუთაისი); 3. გ. აბრამიძე (გლდანის სპორტული ინტერნატი).

**გუნდური.** 1. თბილისი; 2. ქუთაისი; 3. სპორტინტერნატი.

**რაპირა. გოგონები.** 1. მ. მათითაიშვილი; 2. მ. გიორგაძე (ორივე — თბილისი), 3. ლ. რევიშვილი (ქუთაისი).

**გუნდური.** 1. ქუთაისი; 2. თბილისი; 3. ბათუმი.

**რაპირა. ვაჟები.** 1. ს. დემეტრაშვილი (თბილისი); 2. გ. მეგრელიძე; 3. ჭ. ბობოხიძე (ორივე — ქუთაისი).

**გუნდური.** 1. თბილისი; 2. ქუთაისი; 3. აჭარა.

**ხმალი.** 1. ზ. მჭედლიძე; 2. ლ. იოსებიძე (ორივე — თბილისი), 3. გ. მიქელაძე (ბათუმი).

**გუნდური.** 1. თბილისი; 2. ქუთაისი; 3. აჭარა.

**საერთო გუნდური.** 1. თბილისი — 293 ქულა; 2. ქუთაისი — 250; 3. აჭარა — 136; 4. ინტერნატი—76, 5. ზესტაფონი — 76; 6. რუსთავი — 74; ტყიბული — 45, 8. წყალტუბო — 32. აფხაზეთის ნაკრებს გაურკვეველი მიზეზის გამო რესპუბლიკურ ჩემპიონატში მონაწილეობა არ მიუღია.

გამოხმაურება წერილზე „ხაცურაო აუზი — კოოპერატორებს“

# იქნებ დავძრათ საქმე ადგილიდან?

**პატივცემულო რედაქცია!**

**მიმდინარე წლის 20 მაისს გაზეთ „ლელოში“ რუბრიკით „გთავაზობთ წინადადებას“ დაიბეჭდა წერილი „ხაცურაო აუზი — კოოპერატორებს“. წერილში დასმული იყო საკითხი საცურაო აუზების კოოპერატორებისათვის გადაცემის თაობაზე.**

**ამ საკითხზე მართლაც დროულია მსჯელობა. თუ ვაჭრობის და საყოფაცხოვრებო მომსახურების სხვა სფეროებში შეიძლება კოოპერირება, რატომ არ შეიძლება იგი სპორტშიც ვცადოთ, თუნდაც ექსპერიმენტი ჩავატაროთ?**

**ჩვენ გვინდა ერთ საკითხს შევეხოთ. საქმე ეხება საქართველოში, კერძოდ თბილისში, ხელოვნურსაფარიანი ყინულის მოედნის მშენებლობას. თქვენმა გაზეთმა ბევრჯერ მიუთითა, რომ განათლების სამინისტროს სპეციალიზებული საციგურაო სკოლის ხელოვნური ყინულის საფარი (27X27) ვერ უტოლდება სტანდარტებს, და აძნელებს ნორჩების სრულყოფილად მომზადებას, არადა აქ 450-მდე მოზარდი მოციგურავე და 100-მდე ჰოკეისტი ვარჯიშობს.**

**ამ სკოლაში, რომელიც 26 წლის წინათ დაარსდა, ბევრი პერსპექტიული სპორტსმენი აღიზარდა, რომლებიც წარმატებით გამოდიან დიდ ასპარეზზე. გავიხსენოთ თუნდაც საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრები მოციგურავე ანდრეი ტოროსიანი და ჰოკეისტი კოტე ბახუტაშვილი.**

**დღეისათვის ეს სკოლა აშკარად ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნილებებს: გარდა იმისა, რომ მოედანი არასტანდარტულია, მოძველებულია სამაცივრო დანადგარები, რომლებიც ყოველ წუთს შეიძლება გამოვიდნენ მწყობრიდან (ეს ერთხელ უკვე მოხდა!). თანაც ისინი ამიაკით მუშაობენ ქალაქის ცენტრში, რაც დაუშვებელია. სკოლა ვერ აუდის ბავშვების მიღებას, რომელთაც სურთ ისწავლონ ფიგურული სრიალი და ჰოკეის თამაში.**

**1982 წელს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის დახმარებით სკოლამ შეიძინა სამი სამაცივრო დანადგარი, კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ კი (მაშინდელი მინისტრი ნ. ვაშაძე) სკოლას უსასყიდლოდ გადასცა ხუთი ასეთი დანადგარი. ეს დანადგარები პიონერულ ქალაქ „მზიურში“ უნდა დამონტაჟებულიყო, მაგრამ აგერ უკვე ხუთი წელია (!) მაცივრები ღია ცის ქვეშ აწყვია. არადა მათ შესაძენად საჭიროა ორი-სამი წელი მაინც იდგე რიგში. ჩვენ კი აი, ასე დაუდევრად ვექცევით ძვირადღირებულ (ას ცამეტი ათასი მანეთი!) მოწყობილობას. მოგვიანებით მაცივრები გადაეცათ თბილისის საწყლოსნო სპორტულ კომპლექსს (დირექტორი ვ. გოიაშვილი) კუს ტბაზე ყინულსაფარიანი მოედნის მოსაწყობად, მაგრამ, სამწუხაროდ, ის მშენებლობაც არ გამოვიდა. იქნებ თქვენი გაზეთის საშუალებით შევძლოთ ამ „გაყინული“ საქმის ადგილიდან დაძვრა, ანუ კოოპერატივის საშუალებით საციგურაო მოედნის აშენება. მშენებლობაში მონაწილეობას მივიღებთ ვეტერანი ჰოკეისტები, თუ ჩვენი წინადადება მისაღებია, მზად ვართ დაუყოვნებლივ შევუდგეთ საქმეს.**

**ნ. დონაძე, თ. გიგინეიშვილი, გ. შენგელია, გ. ნატროშვილი, გ. იზაშვილი, თ. დონაძე.**

### მკითხველი — გაზეთი

**თუ შეიძლება მიპასუხეთ:**

**ამ ბოლო ხანს განსაკუთრებით ბევრს ლაპარაკობენ საცხოვრებელ ადგილებში ფიზკულტურული და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის ფართოდ გაშლის აუცილებლობაზე. მაგრამ მარტო ლაპარაკით საქმეს, ცხადია, არ ეშველება. ახლა, როცა ძალაში შევიდა კანონი ინდივიდუალური შრომის შესახებ, შეიძლება თუ არა სპორტის მუშაკებს მიეცეს უფლება ჩაატარონ მეცადინეობები და მომეცადინეთაგან მიიღონ გარკვეული საზღაური? საერთოდ, ფიზკულტურისა და სპორტის სპეციალისტებს აქვთ თუ არა უფლება გამოიყენონ კანონი ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ?**

**ვ. მელაშვილი,**

თბილისი.

**პასუხი:** 1987 წლის 1 მაისიდან „ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ“ კანონის ძალაში შესვლასთან დაკავშირებით მიღებულ სადირექტივო დადგენილებაში ნათქვამია, რომ ფიზკულტურისა და სპორტის სფეროში ინდივიდუალური შრომის თაობაზე კანონის გამოყენების უფლება აქვთ სპეციალური (ფიზკულტურული) განათლების (უმაღლესი ან საშუალო) მქონე მუშაკებს, აგრეთვე იმ პირებს, რომლებსაც აქვთ სპორტული ცოდნა (სპორტის დამსახურებული ოსტატი, ჭადრაკსა და შაშში — დიდოსტატი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, სპორტის ოსტატი). ამავე უფლებით სარგებლობენ ისინიც, ვისაც ჯერ არ დაუმთავრებია სპეციალური (ფიზკულტურული) უმაღლესი სასწავლებელი (IV კურსიდან) ან გავლილი აქვს სპეციალური კურსები, მაგრამ არ აქვს სპეციალური (ფიზკულტურული) განათლება.

ვინც ამ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს აკმაყოფილებს, უფლება აქვს მიაკითხოს სახალხო დეპუტატების საბჭოს აღმასკომს (საცხოვრებელი ადგილის მიხედვით) და წერილობითი განცხადებით ითხოვოს ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის დაწყების ნებართვა.

# სოცშეჯიბრებაში გამარჯვებულნი

**ტყიბულის** ფიზკულტურის კომიტეტი სისტემატურად ამოწმებს ქალაქისა და მისი ზონის სოფლების ფიზკულტურის კოლექტივებს შორის გაშლილი სოცშეჯიბრების შედეგებს.

ფიზკულტურის კომიტეტმა პირველ ჯგუფში გამარჯვებულად სცნო ლენინის სახელობის შახტის, მინდელის სახელობის შახტის და ჯანმრთელობის განყოფილების ფიზკულტურის კოლექტივები, მეორე ჯგუფში — ორპირის კოლმეურნეობის, სამრეწველო კომბინატისა და სპეცკანტორის კოლექტივები. მესამე ჯგუფში — ინდუსტრიული ტექნიკუმის, № 19 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის და № 4 საშუალო სკოლის კოლექტივები.

**ელბერდი ბაქრაძე,**
**„ლელოს“ კორესპონდენტი.**

# იყო თბილისში ასეთი სკოლა

**ეს სურათი** 1922 წელსაა გადაღებული თბილისის ყოფილი ვაჟთა I გიმნაზიის (ახლანდელი I საშუალო სკოლა) ეზოში, იქ, სადაც დღეს ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ძეგლი დგას. მასზე ე. წ. „მეორე შევარდენის“ წევრები არიან აღბეჭდილნი. შუაში ზის გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და სპორტსმენი გიორგი ნიკოლაძე.

ფოტოსურათი საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის უსაფრთხოების ტექნიკის უფროსმა ინჟინერმა, გადამდგარმა პოდპოლკოვნიკმა, შალვა თაბუაშვილმა მოგვიტანა. 75 წლის ვეტერანმა ბევრი რამ საგულისხმო გვიამბო ამ სურათთან დაკავშირებით.

— მაშინ 11 წლისა ვიყავი და ერმოლოვის (ახლანდელი ჩიტაძის) ქუჩაზე მდებარე შრომის მერვე სკოლაში ვსწავლობდი. თანატოლებთან ერთად სპორტსაზოგადოება „შევარდენის“, კერძოდ „მეორე შევარდენის“, წევრი გავხდი. მისი ხელმძღვანელი შესანიშნავი პედაგოგი და სპორტის დიდი ენთუზიასტი გიორგი ნიკოლაძე იყო, ჩვენი ოცკაციანი ჯგუფის ხელმძღვანელი კი გიორგი გოგუაძე (სურათზე იგი გ. ნიკოლაძის ხელმარჯვნივ ზის). სიამაყით მინდა ვთქვა, რომ პატივცემულ გიორგის მე განსაკუთრებით ვუყვარდი, აკი ამიტომაც დამსვა სურათის გადაღებისას თავის წინ: „ჭაბუკო, მოდი შენ აქ დაჯექი!“. აქვე არიან აგრეთვე გიორგი სიხარულიძე — შემდგომში საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარე, გიორგი ზარიძე — შემდგომში პროფესორი (ზემოდან მეორე რიგში, მარცხნიდან მეორე და მეექვსე), ივანე ბაბალაშვილი — შემდგომში გენერალ-მაიორი (ზემოდან მეოთხე რიგში მარჯვნიდან მეხუთე). ყოველი ჩვენგანი სპორტის დიდი ტრფიალი იყო. ვვარჯიშობდით ამავე სკოლის სპორტდარბაზში ან უკანა ეზოში კვირაში სამჯერ ორ-ორ საათს, სხვა დროს ქალაქგარეთ გავდიოდით. მთებსა და კლდეებზე ვცოცავდით, მტკვარზე და ლისის ტბაზე საბანაოდ დავდიოდით. ცხოვრების ასეთი წესი შემდგომში ძალიან გამოგვადგა, დიახ, მე და ჩემი შემორჩენილი თანატოლები — ძველი შევარდნელები — დღესაც საკმაოდ მხნედ ვგრძნობთ თავს.



სსრ კავშირის ჩემპიონატი

50

უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის XI ტურის მატჩში 26 მაისს ლანჩხუთში ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოს გუნდები — ადგილობრივი „გურია“ და თბილისის „დინამო“.

ჩვენი ლანჩხუთელი კორესპონდენტი **ავთანდილ ორმოცაძე** ამ მატჩის თაობაზე გვატყობინებს:

თბილისის „დინამოს“ ჩამოსვლამ ლანჩხუთში დიდი ინტერესი გამოიწვია, „გურიის“ სტადიონი სავსე იყო მაყურებლებით. ისინი მოელოდნენ შეუპოვარ ბრძოლას, ვინაიდან ქულები ჰაერივით ესაჭიროებათ გათამაშების ცხრილის ბოლოში მყოფ ლანჩხუთის „გურიასაც“ და თბილისის „დინამოსაც“. ბრძოლა, მართლაც დაძაბული იყო, თუმცა, უნდა ითქვას, მეტოქეებმა შეუპოვრობა და ბრძოლისუნარიანობა უფრო მეტი გამოავლინეს, ვიდრე მაღალი სპორტული ოსტატობა.

პირველი ტაიმის განმავლობაში ლანჩხუთელებს მცირეოდენი ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ, ვიდრე სტუმრებს, მაგრამ დინამოელებიც სახიფათოდ უტევდნენ.

მეტოქეები კარგად იცნობენ ერთმანეთს, ბევრ მათგანს სხვადასხვა დროს ერთადაც უთამაშია, ამიტომ ტრადიციული დაზვერვის ნაცვლად ისინი თავიდანვე ჩაებნენ ძნელ ბრძოლაში. მე-16 წუთზე ლანჩხუთელმა აკოფიანმა უაღრესად ხელსაყრელი მდგომარეობიდან ვერ შეძლო ბურთის გატანა, მცირე ხანში კი დინამოელთა ნახევარმცველმა კორღალიძემ ასევე დაკარგა ბურთის გატანის საუკეთესო შესაძლებლობა. ამის შემდეგ კვლავ კარგი მდგომარეობიდან ააცილა მიზანს ბურთი მეგრელაძემ.

შესვენების შემდეგ თამაშის ტემპმა მნიშვნელოვნად იკლო, ფეხბურთელები ნაკლებ აქტიურობას იჩენდნენ და ერთფეროვნად თამაშობდნენ, თუმცა, სახიფათო მომენტები მაინც იქმნებოდა, ორჯერ-ვერ გამოიყენა ბურთის გატანის კარგი შესაძლებლობა მეგრელაძემ, შემდეგ კი ჰედიამ, გურულმა და შენგელიამ.

საბოლოოდ, წარმატებას ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია — 0:0.

მეტოქეთა შემადგენლობანი: **„გურია“ — იმნაძე, მიქაბერიძე, მახარაძე, ე. თევზაძე, არზიანი, ხლუსი, კოპალეიშვილი, ტყებუჩავა, მეგრელაძე, ფრიდონაშვილი, აკოფიანი; „დინამო“ — გაბელია, კეტაშვილი, ჩივაძე, ჰედია, კუდინოვი, რევიშვილი (შენგელია, 80), კორღალიძე, სულაქველიძე, ცაავა (კაკილაშვილი, 68), გურული, ცვეიბა. მსაჯი პ. კობიჩიკი (ჩერნოვცი).**

გუშინ გაიმართა უმაღლესი ლიგის XI ტურის ბოლო მატჩი, მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამო“ და დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“.

გაიმარჯვა „დნეპრმა“ — 1:0.

**გათამაშების ცხრილი**

**ძირითადი შემადგენლობა**

**მდგომარეობა 28 მაისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი“ | 11 | 6 | 5 | 0 | 18-6 | 17 |
| „ტორპედო“ | 11 | 5 | 5 | 1 | 10-5 | 15 |
| „ჟალგირისი“ | 11 | 5 | 3 | 3 | 13-10 | 13 |
| „დინამო“ მნ. | 11 | 4 | 4 | 3 | 12-7 | 12 |
| „მეტალისტი“ | 11 | 4 | 4 | 3 | 9-9 | 12 |
| „შახტიორი“ | 11 | 3 | 6 | 2 | 9-8 | 12 |
| „არარატი“ | 11 | 5 | 1 | 5 | 9-16 | 11 |
| ცსკა | 11 | 4 | 2 | 5 | 12-12 | 10 |
| „დნეპრი“ | 11 | 3 | 4 | 4 | 11-8 | 10 |
| „დინამო“ მ. | 10 | 3 | 4 | 3 | 7-8 | 10 |
| „ქაირატი“ | 11 | 4 | 1 | 6 | 7-12 | 9 |
| „ზენიტი“ | 11 | 2 | 5 | 4 | 6-14 | 9 |
| „დინამო“ კ. | 8 | 3 | 2 | 3 | 14-8 | 8 |
| „გურია“ | 10 | 2 | 4 | 4 | 6-10 | 8 |
| „ნეფთჩი“ | 11 | 2 | 3 | 6 | 9-14 | 7 |
| „დინამო“ თბ. | 10 | 2 | 3 | 5 | 7-12 | 7 |



ლანჩხუთის „გურიისა“ და თბილისის „დინამოს“ შეხვედრის მომენტი.

## „სიჭაბუკის“ თასი გათამაშდა

გუშინ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე შედგა „სიჭაბუკის“ თასის რესპუბლიკური გათამაშების ფინალური მატჩი 1972-73 წლებში დაბადებულ ჭაბუკ ფეხბურთელთა შორის. ერთმანეთს შეხვდნენ თბილისისა და რუსთავის ნაკრები გუნდები.

საინტერესო თამაში დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით — 3:0 (ნაკრების მწვრთნელები ა. ვაშაკიძე და ს. აპრესიანი.

## ოლიმპიურ სარბიელზე

**გრძელდება** ოლიმპიური თამაშების საფეხბურთო ტურნირის შესარჩევი მატჩები. „დ“ ჯგუფში, სადაც საბჭოთა ფეხბურთელებიც გამოდიან, ერთმანეთს შეხვდნენ ნორვეგიისა და ბულგარეთის ნაკრები გუნდები. თამაში დამთავრდა ფრედ — 0:0.

ამავე ჯგუფში შემდგომი მატჩი გაიმართება 12 აგვისტოს, ერთმანეთს შეხვდებიან სსრ კავშირისა და ნორვეგიის ფეხბურთელები.

**გათამაშების ცხრილი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 3 | 2 | 1 | 0 | 3-0 | 5 |
| შვეიცარია | 3 | 1 | 1 | 1 | 4-4 | 3 |
| თურქეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-5 | 3 |
| ნორვეგია | 4 | 0 | 3 | 1 | 1-2 | 3 |
| ბულგარეთი | 3 | 0 | 2 | 1 | 1-2 | 2 |

ევროპის ზონის „ვ“ ჯგუფში ასევე ფრედ დამთავრდა ისლანდიისა და ჰოლანდიის ოლიმპიელ ფეხბურთელთა შეხვედრა — 2:2.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 3 | 1 | 2 | 0 | 3-2 | 4 |
| გდრ | 3 | 1 | 2 | 0 | 1-0 | 4 |
| ისლანდია | 2 | 0 | 2 | 0 | 4-4 | 2 |
| ჰოლანდია | 3 | 0 | 2 | 1 | 2-3 | 2 |
| პორტუგალია | 3 | 0 | 2 | 1 | 0-1 | 2 |

## ნიჩბოსნების შემოტევა

დასასრული

გილი დაიკავეს ორადგილიანი ნავებით 10 000 მეტრზე რბოლაში, 1000-მეტრიან დისტანციაზე კი ისინი მესამე იყვნენ. 10-კილომეტრიან დისტანციაზე ლომიშვილ — ზუევის ეკიპაჟი მხოლოდ გამოცდილ უნგრელთა ტიბორ ხელისა და ზოლტ ბოეშტის ეკიპაჟს ჩამორჩა. 1000 მეტრზე პირველი ადგილი დაიკავა გდრ-ის ძლიერმა ეკიპაჟმა (მსოფლიო ჩემპიონებმა გვიდო ბელინგმა და თომას ფასკემ), მეორე ადგილზე გავიდნენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონები იგორ ნაგაევი და სერგეი გალკოვი. ამ რბოლებში ლომიშვილმა და ზუევმა უკან ჩამოიტოვეს უნგრელთა, პოლონელთა, კანადელთა და ნორვეგიელთა ძლიერი ეკიპაჟები.

ერთი სიტყვით, ლომიშვილმა ჯილდოების მთელი კომპლექტი ჩამოიტანა თბილისში. ის ორი მედალი, რომელიც მან რიაბჩინსკაიას მემორიალზე მოიპოვა, ალბათ სხვებზე ძვირფასია მისთვის (რა თქმა უნდა, თუ 1985 წელს იტალიაში გამართულ ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატის ოქროს მედალს არ ჩავთვლით), რადგან ამ წარმატებისთვის მას საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭა. კახა ჩვენი რესპუბლიკის მეექვსე ნიჩბოსანია, ვინც ამ სახეობაში ასეთი მაღალი წოდება დაიმსახურა. გარდა ამისა, საქართველოს ნიჩბოსანთაგან მან პირველმა მოიპოვა საპრიზო ადგილი იულია რიაბჩინსკაიას სახელობის რეგატაში.

**ნოდარ ცხოვრებოვი:** შარშან კახას გარდატეხის პერიოდი ჰქონდა, მოგეხსენებათ, როცა სპორტსმენი ჭაბუკობიდან მოწიფულობაში შეაბიჯებს, მის წინაშე დასახული ამოცანები საგრძნობლად რთულდება. კახას მასზე უფროს, გამოცდილ და სახელოვან მეტოქეებთან ბრძოლაში უნდა დაემტკიცებინა, რომ იგი „რიგითი პერსპექტიული“ ნიჩბოსანი კი არა, ნაკრების წევრობის რეალური კანდიდატი იყო. რა თქმა უნდა, აჩქარება არ ივარგებდა. ამიტომ შარშან მიზნად დავისახეთ შეჭრეულდით გაზრდილ მოთხოვნებს, შეგვენარჩუნებინა კარგი სპორტული ფორმა და ნაკრების კანდიდატის სტატუსი, შედეგებზე კი მაშინ გვეფიქრა, როცა რჩეულებთან „ფსიქოლოგიურ აკლიმატიზაციას“ გავივლიდით. კახამ თავი გაართვა ამ ამოცანას. მან იმ ნიჩბოსანთა შორის დაიმკვიდრა ადგილი, ვისაც საკავშირო ნაკრების მწვრთნელები ყველაზე მაღალი რანგის შეჯიბრებებისთვის, კერძოდ მომავალი ოლიმპიური თამაშებისთვის ამზადებენ.

კახა ლომიშვილი სიტყვაძუნწი კაცი არ გახლავთ, მაგრამ, როცა მომავლის გეგმებზე ჩამოვუგდეთ სიტყვა, მოკლედ მოგვიჭრა, სპორტსმენს ლაპარაკის უფლება მაშინ აქვს, როცა მიზანს მიაღწევსო. მასზე კარგად მართლაც ვინ იცის, რა ძნელია მსოფლიოში აღიარებულ უძლიერეს საბჭოთა ნიჩბოსანთა ჯგუფში მოხვედრა და საქართველოს მობაიდარეთა ერთ დროს სახელოვანი ტრადიციების აღდგენა-განახლება. თუმცა ერთი მერცხალი გაზაფხულს რომ ვერ მოიყვანს, ეს თვითონ კახამაც კარგად იცის: „რამდენიმე წლის წინათ მოსწავლეთა ნაკრებში არაერთი პერსპექტიული ნიჩბოსანი იყო, ზოგი ჩემი ტოლი, ზოგიც უფროსი, მაგრამ ისინი თანდათან ჩამოშორდნენ ნიჩბოსნობას. ვერ გეტყვით, კონკრეტულად რა იყო ამის მიზეზი, მაგრამ იმაში კი შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ თუ სპორტის ამ სახეობისადმი მეტ ყურადღებას გამოიჩენენ, ნიჩბოსნებიც შეძლებენ ხშირად გაახარონ ქართველი გულშემატკივრები“.

**თამაზ მიგრიაული.**

## საქართველოს პირველობა

განვლილ შაბათ-კვირას გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრები.

**I ჯგუფი**

**„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „სქური“ (წალენჯიხა) 2:1. მსაჯი მ. კობიაშვილი (თბილისი).** გოლები: კიკნაძე-2 („მეტალურგი“), ზარქუა („სქური“).

**„სალხინო“ (გეგეჭკორი) — „იმერეთი“ (ქუთაისი) 4:1. მსაჯი ი. კანდელაკი (თბილისი).** გოლები: დანელია, ბართია, მონიავა-2 („სალხინო“), ხურცილავა („იმერეთი“).

**„დურუჯი“ (ყვარელი) — ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) 2:0. მსაჯი დ. მენთეშაშვილი (თბილისი).** გოლები: ცაკაშვილი, მინდიაშვილი („დურუჯი“).

**„დინამო“ (ზუგდიდი) — „ივერია“ (ხაშური) 1:0. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).** გოლი: შეროზია („დინამო“).

**„ამირანი“ (ოჩამჩირე) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 2:0. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).** გოლები: მ. ქობალია-2 („ამირანი“).

განზრახ ხელით თამაშისთვის გააფრთხილეს თერჯოლელი ფეხბურთელი დ. ჯავახაძე.

**„ეგრისი“ (ცხაკაია) — „არმაზი“ (მცხეთა) 1:0. მსაჯი ვ. შელია (ქუთაისი).** გოლი: გ. ჩიქობავა („ეგრისი“).

**„მადნეული“ (ბოლნისი) — „ქართლი“ (გორის რ-ნი) 4:1. მსაჯი ე. სილაგავა (თბილისი).** გოლები: კუდუხოვი, მუშკუდიანი, უგულავა, ჯაგოევი („მადნეული“), გაგნიძე („ქართლი“).

**„მერცხალი“ (მახარაძე) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 3:1. მსაჯი ი. გობრონიძე (ფოთი).** გოლები: ჩიგოგიძე, თოფურიძე, ჩხაიძე („მერცხალი“), ხუბეჯიშვილი („სპარტაკი“).

განზრახ დროის გაყვანისთვის გააფრთხილეს „სპარტაკის“ მოთამაშე რ. კობალაძე.

**„შადრევანი“ (წყალტუბო) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 0:0. მსაჯი ჯ. წერეთელი (რუსთავი).**

დროის განზრახ გაყვანისთვის გააფრთხილეს „სამეგრელოს“ ფეხბურთელები ჯ. ბენდელიანი და მ. კვირკველია.

**„სულორი“ (ვანი) — „კოლხეთი“ (ხობი) 2:1. მსაჯი მ. მაღლაფერიძე (ქუთაისი).** გოლები: დ. პაიკიძე, დ. ორმოცაძე („სულორი“), ქომეთიანი („კოლხეთი“).

დროის განზრახ გაყვანისთვის გააფრთხილეს ვანელი მ. დიასამიძე.

**„დინამო“ (გაგრა) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 1:1. მსაჯი ზ. ჯინჭარაძე (მახარაძე).** გოლები: პაპკორია („დინამო“), მანუჩაროვი (ფიზკულტურის ინსტიტუტი).

ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდის ფეხბურთელმა ნ. სვიმონიშვილმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მსაჯს, რისთვისაც იგი მინდვრიდან გააძევეს.

**II ჯგუფი**

**I ქვეჯგუფი.** „თუშეთი“ (ზემო ალვანი) — „გარეჯი“ (საგარეჯო) 4:3, „ვარდისუბანი“ (ლაგოდეხის რ-ნი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 1:1, უნივერსიტეტი (თბილისი) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 1:0, „მეტალისტი“ (რუსთავი) — „სამგორი“ (გარდაბანი) 0:2, სასწავლო-საცდელი მეურნეობა (მუხრანი) — „ფოსტამტი“ (თბილისი) 0:0, „შირაქი“ (წითელი წყარო) — „მიონი“-35 (თბილისი) 1:2, „ქიზიყი“ (სიღნაღი) — „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) 0:2.

**II ქვეჯგუფი.** „ლიახვი“ (ცხინვალის რ-ნი) — „არაგვი“ (დუშეთი) 0:1, „მარაბდა“ (კოდა) — „მეფრინველე“ (კასპი) 3:0, „ფარვანა“ (ადიგენი) — „თრიალეთი“ (წალკა) 2:0, „მეავეჯე“ (ახალდაბა) — „ვარძია“ (ასპინძა) 3:0, „გარისი“ (თეთრი წყარო) — „ავტომობილისტი“ (გორი) 3:2, „განთიადი“ (დმანისი) — „ალგეთი“ (მარნეული) 1:5, „თორი“ (ბორჯომი) — „ზარზმა“ (ადიგენი) 3:0, „აბული“ (ახალქალაქი) — „მესხეთი“ (ახალციხე) 2:1, „კოლმეურნე“ (მარნეულის რ-ნი) — „ბაგიათი“ (ჯავა) 2:0.

**III ქვეჯგუფი.** „ჩხერიმელა“ (ორჯონიკიძე) — „მამისონი“ (ონი) 2:0, „იმერეთი“ (წულუკიძე) — „ჩიხურა“ (საჩხერე) 2:0, „მალაროელი“ (ჭიათურა) — „ხვამლი“ (ცაგერი) 6:0, „ჭოგნარი“ (თერჯოლის რ-ნი) — „იბერია“ (ქარელი) 5:3, პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ქუთაისი) — „ორპირი“ (ტყიბულის რ-ნი) 0:0, „ცენტრმეტალურგმშენი“ (ზესტაფონი) — „საირმე“ (მაიაკოვსკი) 1:5, „მშენებელი“ (ჭიათურა) — „ზანა“ (აბაშა) 2:0, „მეშაქრე“ (აგარა) — ხდკ (სამტრედია) 1:0.

**IV ქვეჯგუფი.** „მეშახტე“ (ტყვარჩელი) — უნივერსიტეტი (სოხუმი) 3:1, „დარჩელი“ (ზუგდიდის რ-ნი) — „მზიური“ (გალი) 0:0, „ავტომობილისტი“ (ბათუმი) — „განთიადი“ (გაგრა) 1:1, „ნარინჯი“ (გონიო) — „დვაბზუ“ (მახარაძე) 1:1, „ჩიბათი“ (ლანჩხუთი) — „განთიადი“ (ცხაკაია) 2:0, „დინამო“-2 (ბათუმი) — „სუბტროპიკი“ (სოხუმი) 1:3, „ოდიში“ (ზუგდიდის რ-ნი) — „ალიონი“ (გალის რ-ნი) 5:0, „ბახმარო“ (ჩოხატაური) — „ნარინჯი“ (ქობულეთი) 2:2.

**გათამაშების ცხრილი**

**I ჯგუფი**

**მდგომარეობა 28 მაისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „შადრევანი“ | 15 | 11 | 1 | 3 | 25-11 | 23 |
| „სამეგრ.“ | 15 | 8 | 6 | 1 | 24-10 | 22 |
| „სქური“ | 15 | 9 | 3 | 3 | 29-14 | 21 |
| „მერცხალი“ | 15 | 7 | 7 | 1 | 22-9 | 21 |
| „კოლხეთი“ | 15 | 8 | 3 | 4 | 21-13 | 19 |
| ფიზკ. ინსტ. | 15 | 7 | 5 | 3 | 22-14 | 19 |
| „სულორი“ | 15 | 7 | 5 | 3 | 13-11 | 19 |
| „სალხინო“ | 15 | 6 | 7 | 2 | 20-14 | 19 |
| „სპარტაკი“ | 15 | 7 | 3 | 5 | 26-20 | 17 |
| „დინამო“ გ. | 15 | 5 | 7 | 3 | 16-14 | 17 |
| „მეტალურ.“ | 15 | 7 | 2 | 6 | 22-18 | 16 |
| „დინამო“ ზ. | 14 | 6 | 4 | 4 | 20-12 | 16 |
| „საპოვნელა“ | 15 | 6 | 3 | 6 | 20-26 | 15 |
| „ამირანი“ | 15 | 6 | 3 | 6 | 13-22 | 15 |
| „ეგრისი“ | 15 | 5 | 5 | 5 | 19-18 | 15 |
| „ქართლი“ | 15 | 5 | 3 | 7 | 19-20 | 13 |
| „იმედი“-„დინამო“-2 | | | | | | |
| თბილისი | 12 | 4 | 5 | 3 | 20-16 | 13 |
| „მადნ.“ | 14 | 4 | 4 | 6 | 21-18 | 12 |
| „კახეთი“ | 14 | 4 | 3 | 7 | 23-25 | 11 |
| „დურუჯი“ | 15 | 3 | 4 | 8 | 10-18 | 10 |
| „არმაზი“ | 15 | 3 | 3 | 9 | 11-24 | 9 |
| „იმერეთი“ | 15 | 1 | 4 | 10 | 15-37 | 6 |
| ახალ. საფეხბურთო სკოლა | | | | | | |
| თბილისი | 15 | 2 | 0 | 13 | 9-35 | 4 |
| „ივერია“ | 15 | 0 | 2 | 13 | 7-28 | 2 |

# ბრაზილიელები ევროპაში

ბრაზილიის ფეხბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა 26 მაისს მესამე მატჩი გამართა ევროპაში. იგი გლაზგოში შეხვდა შოტლანდიის გუნდს და გაიმარჯვა ანგარიშით 2:0. ორივე ბურთი შესვენების შემდეგ გაიტანეს რაიმ და ვალდომ.

შოტლანდიელებმა მატჩის დასაწყისში რამდენიმე სახიფათო შეტევა განავითარეს, შემდეგ კი უპირატესობა მთლიანად ბრაზილიელთა მხარეს გადავიდა, გატანილი გოლების გარდა მატჩის დასასრულს სტუმართა თავდამსხმელმა მიულერმა ძელს მოახვედრა ბურთი.

ამით დამთავრდა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტის სტენლი როუზის თასის გათამაშება, რომელშიც ევროპაში ჩამოსულ ბრაზილიელთა გარდა მონაწილეობდნენ ინგლისისა და შოტლანდიის გუნდებიც. პრიზი მოიპოვა ბრაზილიელთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა (საშუალო ასაკი 23 წელი), რომელმაც ამ ტურნირის 2 მატჩში 3 ქულა დააგროვა (ინგლისელებთან — 1:1, შოტლანდიელებთან — 2:0). ინგლისელ ფეხბურთელებს 2 ქულა აქვთ, შოტლანდიელებს — 1.

## მოკლედ

**თერჯოლა.** აქ ჩატარდა სარაიონო პირველობა მაგიდის ჩოგბურთში, საშუალო და რვაწლიანი სკოლების გუნდების შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა თუზის საშუალო სკოლის გუნდმა. მეორე და მესამე ადგილებზე შესაბამისად თერჯოლის პირველი და ქვახჭირის საშუალო სკოლის გუნდები გავიდნენ.

**ვანო ქუტალაძე,**
**„ლელოს“ საკ. კორ.**

### საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი კალათბურთში

# ექვსი საგზური და რვა პრეტენდენტი

**გასულ შაბათს და კვირას გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა რესპუბლიკური ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები. ექვსი „ორრაუნდიანი" შეხვედრა სტუმრებმა მოიგეს, ოთხი — მასპინძლებმა, ერთ შემთხვევაში კი მეტოქეებმა ქულები გაიყვეს.**

მძაფრი ბრძოლით აღინიშნა რუსთავისა და სოხუმის კალათბურთელთა მეორე მატჩი. შესვენებამდე სოხუმელები 11 ქულით იყვნენ წინ (41:30). მერე ინიციატივა რუსთაველებმა იგდეს ხელთ, შეხვედრის მიწურულში კი ანგარიში გათანაბრდა — 70:70. დაინიშნა დამატებითი ხუთწუთიანი ტაიმი, რომელშიც სტუმრებმა გადამწყვეტ უპირატესობას მიაღწიეს — 81:78. ამ გუნდების პირველ შეხვედრაშიც გამარჯვება სოხუმელებს დარჩათ — 76:69 (42:39).

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კალათბურთელებმა პირველი მატჩი ქუთაისში თავის სასარგებლოდ დაამთავრეს — 85:79 (41:37). მარცხმა მასპინძლები არ გატეხა. განმეორებით შეხვედრაში ისინი უფრო ზუსტად მოქმედებდნენ და რევანშსაც მიაღწიეს — 70:60 (31:33).

მეორე ქვეჯგუფის ლიდერს თბილისის „სინათლეს" ბათუმში ადგილობრივმა კალათბურთელებმა შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწიეს. უფრო მეტიც, პირველი ტაიმი მოიგეს კიდეც (40:38). საბოლოო გამარჯვება ბოლოს მაინც უფრო გამოცდილ „სინათლეს" დარჩა (84:81), მაგრამ ეს წარმატება დიდი




გაჭირვების ფასად მოვიდა. თბილისელმა კალათბურთელებმა მეორე შეხვედრა უფრო ორგანიზებულად ჩაატარეს და შედარებით ადვილადაც გაიმარჯვეს 88:69 (37:29).

სხვა სამ შეხვედრაში მოულოდნელი არაფერი მომხდარა. უნივერსიტეტის კალათბურთელებმა თბილისის დინამოელები დაამარცხეს 120:84 (52:36) და 106:86 (45:45), პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა გორის გუნდს აჯობა — 104:78 (46:32) და 100:86 (42:46), „მართვემ" კი თელავის კოლექტივთან ორთაბრძოლაში ორი გამარჯვება ჩაიწერა 84:75 (45:38) და 105:60 (55:28).

ოთხი ტურიც და ჩემპიონატის პირველი ეტაპი დამთავრდება. ექვსი უძლიერესი გუნდი (სამ-სამი ქვეჯგუფებიდან) გააგრძელებს ბრძოლას საპრიზო ადგილებისთვის. მეორე ექვსეული კი VII-XII ადგილებს გაითამაშებს. დღესდღეობით ოთხი კოლექტივის ბედი ეჭვს არ იწვევს: ფინალში მონაწილეობა მათ, ფაქტიურად, განაღდებული აქვთ. ესენია: პირველი ქვეჯგუფიდან — უნივერსიტეტი და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი, მეორე ქვეჯგუფიდან — „სინათლე" და ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივი. ორ დარჩენილ ვაკანსიაზე პრეტენზიას ერთის მხრივ „დინამოს" და სოხუმის, მეორეს მხრივ კი „მართვესა" და ქუთაისის კალათბურთელები აცხადებენ: როგორც ჩანს, ყველაფერი 6 და 7 ივნისის ტურებში გადაწყდება.

დღევანდელი სატურნირო ცხრილები ასე გამოიყურება.

**I ქვეჯგუფი**

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| თსუ | 16 | 14 | 2 | 1610-1311 | 30 |
| სპი | 16 | 13 | 3 | 1455-1286 | 29 |
| „დინამო" | 16 | 8 | 8 | 1260-1342 | 24 |
| სოხუმი | 16 | 7 | 9 | 1360-1399 | 23 |
| რუსთავი | 16 | 4 | 12 | 1226-1374 | 20 |
| გორი | 16 | 2 | 14 | 1253-1452 | 18 |

**II ქვეჯგუფი**

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „სინათლე" | 16 | 14 | 2 | 1547-1330 | 30 |
| ფიზ. ინს. | 16 | 12 | 4 | 1384-1237 | 28 |
| „მართვე" | 16 | 9 | 7 | 1343-1282 | 25 |
| ქუთაისი | 16 | 7 | 9 | 1216-1236 | 23 |
| ბათუმი | 16 | 4 | 12 | 1196-1262 | 20 |
| თელავი | 16 | 2 | 14 | 1224-1538 | 18 |

### ფურცლები წარსულიდან

# ორი მეტოქე

როდესაც XVIII საუკუნის ბოლოს ახალი ზელანდიის მობინადრეებმა პირველად იხილეს ევროპელთა ცხენები, პირქვე დაემხნენ მათ წინაშე. ისინი მოგზაურებს ეკითხებოდნენ, ხომ არ ხმარობს ეს „დიდი ძაღლი" ძილის დროს საბანს, რა ენაზე ლაპარაკობსო და ა. შ.



ესპანელების გამოჩენამდე არც მექსიკელებს ენახათ ცხენი. დ. უინსორის ცნობით, როდესაც ინდიელებმა პირველად იხილეს, როგორ ჩამოხტა თეთრკანიანი ცხენიდან, ჩათვალეს, რომ ერთი და იგივე პიროვნება ორად გაიყო. ჩარლზ დარვინს თავისი მოგზაურობის აღწერაში აღნიშნული აქვს, რომ ტაიტელები ცხენს ადამიანის მატარებელ ღორს უწოდებდნენ.

არადა, ამ დროისთვის ევროპის ქვეყნებში ცხენს საპატიო ადგილი ეჭირა ადამიანის ყოფა-ცხოვრებაში, მათ შორის სპორტშიც. სპორტულ სარბიელზე ცხენების გამოყვანა ბერძნებს მიეწერებათ. ძველი ოლიმპიის აღმოსავლეთ ნაწილში ბერძნებს მოწყობილი ჰქონდათ უზარმაზარი იპოდრომი ცხენების საასპარეზოდ (ჰიპოს — ცხენი, დრომოს — სირბილი). მისი სიგრძე 1730 მეტრი იყო, სიგანე 336 მეტრი. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 680 წელს, XXIII ოლიმპიადის პროგრამაში ბერძნებმა შეიტანეს ეტლებით ჯირითი, ხოლო 648 წლის ოლიმპიადაზე საცხენოსნო დოღი გამართეს. საინტერესოა, რომ ასპარეზობის დამთავრების შემდეგ ჯილდოებს გადასცემდნენ არა ასპარეზობის მონაწილე მხედრებს, არამედ ცხენების პატრონებს. ბერძენთა აზრით, ჯირითს იგებდა ცხენი და არა მხედარი. ზოგჯერ გამარჯვებულ ცხენებს, ისევე როგორც ოლიმპიადაში გამარჯვებულ ათლეტებს, ქანდაკებებს უდგამდნენ. ერთხელ სტრატეგოსმა ალკიბიადემ მოიგო ეტლებით ჯირითი და დიდი წვეულება გამართა. ნადიმზე მაყურებლებთან ერთად შეჯიბრებაში მონაწილე ცხენებიც მიიწვია.

ოლიმპიურ ასპარეზობაში გამარჯვებული ოთხცხენიან ეტლზე (კვადრიგა) შემდგარი შედიოდა მშობლიურ ქალაქში. ჰეროდოტეს ცნობით, ელინელებმა ლიბიელებისგან ისწავლეს ოთხი ცხენის შებმა ეტლში.

ძველ რომში გამარჯვებულ მხედრებს უფლება ჰქონდათ ზეიმით შესულიყვნენ ქალაქში. ერთხელ რომაელმა მხედართმთავარმა კამილუსმა თეთრი ცხენით შემოიარა რომის ყველა ქუჩა, რამაც რომაელთა დიდი აღშფოთება გამოიწვია. საქმე ისაა, რომ თეთრი ცხენი იუპიტერის (ბერძენთა ზევსი) საკუთრებად ითვლებოდა. ძველ ბერძნებში ცხენთა მფარველად კი პოსეიდონი. სწორედ მის საპატივცემულოდ იმართებოდა შეჯიბრებები.

1912 წლიდან საცხენოსნო სპორტი თანამედროვე ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შედის (პირველად იგი 1900 წელს გამოჩნდა).

თანამედროვე ოლიმპიური თამაშების შემოღებისთანავე, ე. ი. 1896 წლიდან ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შევიდა „ცხენის მეტოქე". ასე უწოდებდნენ გასულ საუკუნეში ველოსიპედს. როგორც ცნობილია, 1801 წელს იგი რუსეთში გამოჩნდა, კერძოდ მოსკოვში, უფრო მოგვიანებით კი დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. „ცხენის მეტოქე" სპორტულ სარბიელზეც დამკვიდრდა. გასული საუკუნის ბოლოს, ისე, როგორც ევროპისა და რუსეთის დიდ ქალაქებში, თბილისშიც არსებობდა ველოსიპედისტთა კლუბები და საზოგადოებები. ველოსპორტი სპორტის ერთ-ერთი პოპულარული სახეობა გახდა.

მეტოქეთა — ცხენისა და ველოსიპედის შეჯიბრება მოეწყო 1893 წელს პარიზთან ახლოს, ლევალუაში (თანამედროვე ოლიმპიური თამაშების გახსნამდე სამი წლით ადრე). შეჯიბრებაში ჩაება მხედარი კოდი და ველოსიპედისტი მეიერი. მათ უნდა ერბინათ სამი დღის განმავლობაში, ყოველდღე ოთხ-ოთხი საათი. ველოსიპედისტს უფლება ჰქონდა გამოეცვალა ველოსიპედი. მხედარს კი ათი ცხენის გამოცვლა შეეძლო. პირველ დღეს მეიერი კოდს 12 კილომეტრით ჩამორჩა. საბოლოოდ რბოლა მოიგო კოდმა, რომელმაც 349 კილომეტრი გაიარა, ველოსიპედისტმა მეიერმა კი ამ დროის მანძილზე 322 კილომეტრი დაფარა.

რასაკვირველია, მაშინდელი ველოსიპედი საგრძნობლად განსხვავდებოდა თანამედროვე სპორტული ველოსიპედისგან.

# უცნაური მოკრივე

ეს სურათი მხატვარმა პ. ფრენჯენმა გასული საუკუნის ბოლოს ნატურიდან დახატა. რინგზე დგანან კენგურუ და ადამიანი. ამგვარი შეჯიბრება იმართებოდა ლონდონში და დიდძალ ხალხს იზიდავდა. ყველას სურდა ეხილა, როგორ ეჭირა თავი რინგზე ცნობილ ავსტრალიელ „მოკრივე კენგურუს", მის „მწვრთნელ" ლუნდერმენთან შეხვედრაში. ლუნდერმენმა კარგად შეასწავლა კენგურუს კრივის წესები და ჭკვიანი ცხოველიც საკმაოდ ზუსტად იცავდა მას. მხოლოდ ერთი უარყო-



ფითი თვისება ჰქონდა „მოკრივეს": როცა იგრძნობდა, რომ მარცხდებოდა, მაშინვე აკრძალულ ილეთებს მიმართავდა: გრძელი კუდით დაეყრდნობოდა იატაკს, უკანა ფეხებს მეტოქის გულმკერდს მიაბჯენდა და წინა ფეხებით სახეში სცემდა. ეს იყო და ეს, დანარჩენ წესებს ზუსტად იცავდა. ბრძოლის დაწყების ნიშანზე იგი მიუახლოვდებოდა მეტოქეს და მეგობრულად გაუწვდიდა ხელს. ბრძოლის დამთავრების შემდეგ კი კუთხეში მოკალათდებოდა და მსაჯის გადაწყვეტილებას ელოდა.

**სულიკო ნუცუბიძე.**

## ინფორმაცია

**დორტმუნდი.** ევროპის კალათბურთელთა ჩემპიონატის წინ აქ საერთაშორისო ტურნირი გაიმართა, რომელიც იუგოსლავიის ეროვნულმა ნაკრებმა მოიგო. მეორე ადგილი დაიკავა ევროპაში მოთამაშე ამერიკელთაგან შედგენილმა გუნდმა, მესამე — ბერძენმა კალათბურთელებმა.

**ანტვერპენი.** ბელგიის მოცურავეთა თასის გათამაშებაში უცხოეთის 9 ქვეყნის წარმომადგენლებიც ასპარეზობდნენ. საბჭოთა სპორტსმენებმა რვა უმაღლესი ჯილდო დაიმსახურეს.

**სან-ჯოვანი-ვალდარნო (იტალია).** მძლეოსანთა აქ გამართულ შეჯიბრებაში ჯოვანი ევანჯელისტმა სიგრძეზე ხტომაში 843 სანტიმეტრი დაძლია, ალექსანდრო ანდრეიმ კი ბირთვი 22 მ. 17-სმ-ზე კრა. ეს შედეგი წლეულს მსოფლიოში მეორეა.

**კაზანლიკი.** ბადროს ტყორცნაში ბულგარეთის ახალი რეკორდი დაამყარა ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა ცვეტანკა ხრისტოვამ — 73 მ. 22 სმ. ასეთი შედეგი წლეულს მსოფლიოში არავის ჰქონია.

**ლონდონი.** დიდი ბრიტანეთის მრავალდღიანი ველორბოლის მე-9 ეტაპი მოიგო ფრანგმა პიერ ბეგომ, რომელმაც 179 კილომეტრიანი დისტანცია 4:29.20-ში გაიარა. ცხრა ეტაპის ჯამში რბოლას ინგლისელი მალკოლმ ელიოტი ლიდერობს. მეორე ადგილზეა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი ალექსანდრე ზინოვიევი.

**პარიზი.** საფრანგეთის ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატის პირველ ტურში ნატალია ზვერევამ (სსრ კავშირი) ნიდერლანდელ მარცელა მესკერს აჯობა (6:3, 6:3), ანდრეი ჩესნოკოვმა (სსრ კავშირი) კი ამერიკელ გერ დონელის (6:1, 6:3, 6:3). ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტი ჯონ მაკინროუ (აშშ) არგენტინელ ორასიო დე ლა პენასთან დამარცხდა — 6:4, 2:6, 4:6, 2:6.

**ბელგრადი.** ევროპის ჩემპიონი ძალოსნობაში იუნიორთა შორის გახდა ერევნელი სპორტსმენი ოვნან აშულატოიანი (52 კგ). ორჭიდის ჯამში მან 230 კგ დააგროვა.

### რა მოელის როსის?

**ცნობილ** იტალიელ თავდამსხმელ პაოლო როსის (იგი ახლა ვერონის „ელასში" გამოდის) აუცილებლად დასჭირდება მუხლისთავის (მენისკის) მეორე ოპერაციის გაკეთება.

— გარწმუნებთ, — თქვა როსიმ, — თუ ოპერაციის შემდეგ პირველ ლიგაში ველარ შევძლებ თამაშს, ფეხბურთს თავს დავანებებ. მეორე ლიგაში თამაშს არ ვაპირებ.

### ცისფერ ეკრანზე...

**ცენტრალური ტელევიზია. 28 მაისი.** დილის დაჭურვა — **8.00 (1);** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** ველორბოლა „მეგობრობა" (ლენინგრადიდან) — **0.20 (2).**

**29 მაისი.** დილის დაჭურვა — **8.00 (1),** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** რიტმული ტანვარჯიში — **19.15 (2);** ველორბოლა — „მეგობრობა" (ლენინგრადიდან) — **0.40 (2).**

**საქართველოს ტელევიზია. 28 მაისი.** სპორტული გადაცემა — **21.25.**

**რედაქტორი**
**თ. გაჩეჩილაძე.**

**დასკვნითი მეცადინეობა**

**30 და 31 მაისს** თბილისის ჭადრაკის სასახლეში შედგება ჭადრაკის კულტურის რესპუბლიკური სახალხო უნივერსიტეტის მსმენელთა დასკვნითი მეცადინეობა.

შაბათს, 30 მაისს, მეცადინეობა დაიწყება **16 საათზე.** ლექციებს წაიკითხავენ საერთაშორისო დიდოსტატები ნანა იოსელიანი („უპირატესობის რეალიზაცია ეტლების ენდშპილში", „ქალთა საერთაშორისო ტურნირი საფრანგეთის ქალაქ იერში") და თამაზ გიორგაძე („კარო-კანის დაცვა კარპოვ — სოკოლოვის მატჩის მიხედვით", „ესპანეთის ქალაქ სან-სებასტიანის ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი").

ლექციების შემდეგ დიდოსტატები ერთდროული თამაშის სეანსს გამართავენ ჭადრაკის მოყვარულებთან.

კვირას, 31 მაისს, **12 საათზე** სემინარულ მეცადინეობას ჩაატარებენ დოცენტი მერაბ თხელიძე, ოსტატი თამაზ კიკიანი, რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელები შოთა ინწკირველი და ოთარ ალხანიშვილი, საერთაშორისო არბიტრი ევგენი მელიქსეთ-ბეგი.

# სენსაციები სტარტზე

**ახალ ზელანდიასა და ავსტრალიაში გაიმართა მოყვარულ რეგბისტთა მსოფლიო თასის პირველი გათამაშების სასტარტო შეხვედრები.**

სიდნეიში „ა" ქვეჯგუფის ფავორიტების ავსტრალიისა და ინგლისის შეხვედრა მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა — 19:6. ავსტრალიელებმა (პოიდევინმა და კემპისმა) ორი ლელო გაიტანეს, 1 რეალიზაცია და 3 საჯარიმოც გამოიყენეს, რასაც ბრიტანელებმა თავიანთი კაპიტნის ჰარისონის მიერ გატანილი ლელოთი უპასუხეს. ბრისბენში აშშ-ის გუნდმა იაპონელთა გუნდს სძლია — 21:18.

ნეიპლიმუთში („ბ" ქვეჯგუფი) კანადელებმა ადვილად დაამარცხეს ტონგას გუნდი — 37:4, ირლანდიელებისა და უელსელების ველინგტონში გამართული შეხვედრა კი დამთავრდა უელსელთა გამარჯვებით — 13:6.

როგორც ვიუწყებოდით, „გ" ქვეჯგუფში ახალზელანდიელებმა გათამაშების გახსნის მატჩში გამანადგურებელი ანგარიშით დაამარცხეს ფირა-ს უკანასკნელ ჩემპიონატში მეოთხე ადგილზე გასული იტალიის გუნდი — 70:6. გამარჯვებულებმა გაიტანეს 12 ლელო, შეაგდეს 8 რეალიზაცია და 2 საჯარიმო. ჰამილტონში კი ტურნირის პირველი სენსაცია მოხდა. ფიჯის ნაკრებმა 4 ლელო გაიტანა და სძლია ქვეჯგუფში მეორე ნომრად განთესილ არგენტინის გუნდს — 28:9.

„დ" ქვეჯგუფის გუნდების ორივე შეხვედრა ქრაისთჩერჩში ჩატარდა. შოტლანდიისა და საფრანგეთის ნაკრებების თამაში ფრედ — 20:20 დამთავრდა. შოტლანდიელმა დუნკანმა ბოლო წუთზე გაათანაბრა ანგარიში, მაგრამ ჰესტინგსმა რეალიზაცია კარს ააცდინა და ფრანგები დამარცხებას გადაურჩნენ. ზიმბაბველები თამაშის დამთავრებამდე 17 წუთით ადრე 11 ქულით უგებდნენ რუმინელებს, მაგრამ დარჩენილ დროში რუმინელებმა 3 ლელო გაიტანეს და მატჩი ანგარიშით 21:20 მოიგეს.

ინდექსი: 68435. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ. 29. უე 06928